



სახელი, გვარი: ამირან ჯანაშვილი

პროფესია: მოქანდაკე

ასაკი: 56 წლის

ოჯახი: მეუღლე და ორი შვილი

ნიდერლანდების სამეფოში

ცხოვრობთ: 1991 წლიდან

საქმიანობის სფერო: თბილისში დავამთავრე

სამხატვრო ათწლელი, რომელიც ძალიან კარგი სკოლა იყო. შემდეგ ვაბარებდი სამხატვრო აკადემიაში ორ წლის განმავლობაში. მესამე წელს ჩავაბარე აკადემიაში, სადაც ექვსი წელი ვისწავლე. ის პერიოდი, როცა მე ვსწავლობდი განსაკუთრებული პედაგოგები გვყავდა, რომლებმაც ისტორია შექმნეს. ესენი იყვნენ, კოტე მერაბიშვილი, გოგი ოჩიაური - დღეს აღარ არიან ცოცხლები. გამიმართლა, რომ მათთან მომიწია სწავლა. სამხატვრო აკადემია 1987 წელს დავამთავრე.

ქართველი ებრაელი დრამატურგი იყო გერცელ ბააზოვი, რომელიც 1937 წელს დახვრიტეს. სწორედ ამ პიროვნების შესახებ გავაკეთე სადიპლომო ნამუშევარი. მოლაპარაკებები მქონდა კულტურის მინისტრთან და გადაწყვეტილი იყო მისი ქანდაკების დადგმა, მაგრამ შემდეგ აირია ყველაფერი... ქანდაკებისთვის აღარავის ეცალა. 1991 წელს კი ჰოლანდიაში წამოვედი.

გზა საქართველოდან ნიდერლანდების სამეფომდე: სიმართლე რომ გითხრათ ჩემთვის ჰოლანდიაში დამკვიდრება და ყველაფერის თავიდან დაწყება არ ყოფილა რთული. რაღაცნაირად ისე მოხდა, რომ ჩამოსვლის დღიდან ვმუშაობდი. მქონდა სახელოსნო, სადაც ვიღებდი შეკვეთებს. ვაწყობდი და ახლაც ვაწყობ გამოფენებს. სახელოსნოში იმდენად დიდ დროს ვატარებ, რომ ვამბობ ხოლმე ჰოლანდიაში არ ვცხოვრობ მე სახელოსნოში ვცხოვრობთქო. ცხოვრების წესივით გახდა ჩემთვის, რომ სულ ვმუშაობ.



ქ. უტრეხტში ხუთი ქანდაკება მაქვს დადგმული. ბოლოს გავაკეთე ტრაი ლეიმზუდის ქანდაკება, რომელიც ისტორიული პიროვნებაა. უტრეხტში ასევე გავაკეთე ებრაული მონუმენტი, რომელიც ეძღვნება მეორე მსოფლიო ომის დროს უტრეხტიდან საკონცენტრაციო ბანაკებში დეპორტირებულ ებრაელებს. დაახლოებით 1300

ადამიანის დეპორტაცია მოხდა უტრეხტიდან სხვადასხვა ბანაკში.

პილიგრიმის ქანდაკება დავდგი იმ ადგილას, საიდანაც შუა საუკუნეებში მიდიოდნენ ესპანეთში სანტიაგო-დე-კომპოსტელაში წმინდა იაკობის საფლავზე. ასევე გაკეთებული მაქვს ნიდერლანდების მეფის ვილემ-ალექსანდერის ქანდაკება.

საქართველო არის: მე თბილისში დავიბადე და პირველ რიგში საქართველო თბილისია ჩემთვის. ცხოვრების ნახევარი საქართველოში გავატარე. საქართველო არის ჩემთვის ბავშვობა, ახალგაზრდობა, სკოლა, მასწავლებლები, მეგობრები, სიტბო და სიყვარული.



საქართველოში დაბრუნდები, როცა ან საქართველოში დაბრუნდებოდი, თუ: შვილები თუ დაბრუნდებიან მეც

გავყვები... სიმართლე გითხრათ დაბრუნებაზე არ მიფიქრია, ვინაიდან როგორც უკვე გითხარით მე არც ჰოლანდიაში ვარ და არც საქართველოში, სულ სახელოსნოში ვარ.

ბოლოს საქართველოში ვიყავი: ორი თვის წინ. საკმაოდ დიდი ხნით ვიყავი-სამი კვირა.



მენტრება: ალბათ მეგობრები... ადამიანები... მიყვარს თბილისის სხვადასხვა ადგილი.

რას ვისურვებდი: რა თქმა უნდა საქართველო მინდა, რომ ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა იყოს ყველა სფეროში. ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ. წამოსვლის შემდეგ საქართველოში პირველად ვიყავი 2004 წელს, შემდეგ 2012 წელს და ახლა ვიყავი ბოლოს და ვთვლი, რომ სულ უკეთესობისკენ მიდის ყველაფერი. ძალიან დიდი ცვლილებები დამხვდა ყველა ჩასვლაზე.

